

განმარტებითი ბარათი

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის N183/ნ ბრძანებამი ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტზე:

წარმოდგენილი ბრძანების პროექტის მიზანია ქვეყნის მასშტაბით პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო აცრების დანერგვა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დამატება, იმუნიზაციის სქემის და ზედმეთა სამიზნე ასაკობრივი კონტინენტების გამსაზღვრა.

იმუნიზაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა მოიცავს 2012-2016 წლების პერიოდს და ითვალისწინებს პნევმოკოკური ინფექციების საწინააღმდეგო აცრების დანერგვას პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში, იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამის (EPI) ფარგლებში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასების მიხედვით, პნევმოკოკური ინფექციები მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. პნევმოკოკით გამოწვეულ დაავადებებს მიეკუთვნება პნევმონია, მენინგიტი, ბაქტერიემია, შუა ყურის ანთეზა, სინუსიტი, ბრონქიტი. 2000 წელს პნევმოკოკური დაავადებების დაახლოებით 14.5 მილიონი შემთხვევა აღინიშნა მსოფლიოში. 2008 წელს 5 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის გარდაცვალების 8.8 მლნ შემთხვევიდან (ჯანმრთელობის შეფასება), დაახლოებით 541,000 შემთხვევა გამოწვეული იყო პნევმოკოკური ინფექციებით. განვითარებად ქვეყნებში უმცროსი ასაკის ბავშვებში სტრეპტოკოკური სეპტიცემიით ლეტალის მჩვენებელი შეადგენს 20%-ს, ხოლო მენინგიტებით - 50%-ს. (WHO position paper on pneumococcal vaccines 2012, Summary)

პნევმოკოკური ინფექციების პროფილაქტიკის მიზნით, პნევმოკოკური ვაქცინა წარმარებულია დანერგილი მსოფლიოს 56 და მათ შორის, ევროპის 28 ქვეყანაში: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიბოროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლუქსემბურგი, პოლანდია, სლოვაკეთი, შვედეთი, ინგლისი და სხვა.

პნევმოკოკის საწინააღმდეგო ვაქცინის დამცველობითი ეფექტი არის მაღალი და იგი ვარირებს სხვადასხვა სეროტიპების მიმართ 91%- 96%-ს შორის.

საქართველოში ბაქტერიულ მენინგიტებზე სენტინელური ზედამხედველობის შედეგებმა აჩვენა, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევების 15% გამოწვეული იყო პნევმოკოკით. 2011 წლის 1 ივნისს, საქართველომ ვაქცინებისა და იმუნიზაციის

გლობალურ ალიანსში (GAVI) წარადგინა განაცხადი (Application Form for Country Proposals for Support to New and Under-Used Vaccines, NVS) პნევმოკოკური ვაქცინის დანერგვისათვის ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. GAVI-ის სამდივნოდან მიღებული გადაწყვეტილებების წერილების (27.09.2011, GAVI/11/227/sl/rh) შედეგად საქართველომ მიიღო დადასტურება წარდგენილი განაცხადის დამტკიცების შესახებ 2012-2016 წწ. პერიოდისათვის.

ბრძანების პროექტის მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას არ ითვალისწინებს.

პროექტის ავტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ საცვარელოების სახელობის დაგადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

პროექტის წარმდგენია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.